N 01-86
28/10/2021

86-01-4-202110281812

შპს ,,ენგურჰესი“-ს ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) ჩასატარებლად შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1

სხდომას ესწრებოდნენ

სატენდერო კომისია:

1. **ლევან მებონია** - შპს ,,ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. **გია ხუბუა** - შპს ,,ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვახტანგ მოლაშხია** - შპს ,,ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;
4. **იური შონია** - შპს ,,ენგურჰესის“ რემონტების მენეჯერი - სატენდერო კომისიის წევრი;
5. **რევაზ გვაგვალია** - შპს ,,ენგურჰესის“ საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;
6. **საშა კვირკველია** - შპს ,,ენგურჰესის“ კომუნალური განყოფილების უფროსი - სატენდერო კომისიის წევრი;

კომისიის აპარატი:

1. **ლევან მებონია** - შპს ,,ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე - აპარატის ხელმძღვანელი;
2. **მედეა კორსანტია** - შპს ,,ენგურჰესის“იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე - აპარატის წევრი;
3. **რომან ლაგვილავა** - შპს ,,ენგურჰესის“ შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - აპარატის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:

1. **ზვიად კილასონია** - შპს ,,ენგურჰესის“ ფინანსური დირექტორი - სატენდერო კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

შპს ,,ენგურჰესი“-ს ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოების ელექტრონული ტენდერის საშუალებით ელექტრონული

ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) სახელმწიფო შესყიდვაზე სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტის განხილვა და დამტკიცება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიის წევრებს განსახილველად წარუდგინა შპს ,,ენგურჰესი"-ს ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოების ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით დამატებითი რაუნდების გარეშე (აუქციონის გარეშე) ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

განიხილეს:

სატენდერო კომისიამ განიხილა ინფორმაცია მიმდინარე შესყიდვასთან დაკავშირებით, კერძოდ:

შპს „ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის მიერ ბაზრის კვლევის ჩატარების მიზნით ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შესყიდვის ობიექტის სამუშაოების მოცულობა გადაიგზავნა სამ პოტენციურ მიმწოდებელთან და მიღებულ იქნა შესაბამისი კომერციული წინადადებები. უმცირესი ფასი შეადგენს: 35 000 (ოცდათხუთმეტიათასი) ლარს დღგ-ს ჩათლით.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვარის მეშვეობით ელექტრონული ტენდერის გენერირებული სატენდერო განცხადება და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს სატენდერო პირობების წარმოდგენილი პროექტი (სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია).
2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს: 35 000 (ოცდათხუთმეტიათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-16 და მე-17 მუხლების შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ლევან მებონია



დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

გია ხუბუა



ტექნიკური დირექტორი

ვახტანგ მოლაშხია



შესყიდვების და მომარაგების სამსახურის უფროსი

იური შონია



რემონტების მენეჯერი

რევაზ გვაგვალია

საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი

საშა კვირკველია

კომუნალური განყოფილების უფროსი

მედეა კორსანტია



იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე

რომან ლაგვილავა

შესყიდვების და მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი